გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 102
2020 წლის 14 აგვისტო
ქ. გორი

ქალაქ გორში, ფარნავაზის ქუჩაზე „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შსს-ს საპატრულო პოლიციის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამართველოს უფროსის წერილი, სადაც აღნიშნავს, რომ ქალაქ გორში, ფარნავაზის ქუჩაზე საჭიროა ავტოტრანსპორტის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობის დაყენება, საგზაო უსაფთხოებიდან და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგზაო უსაფთხოებიდან და საგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ გორში, ფარნავაზის ქუჩა N24-ის მიმდებარედ განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობა“ შესაბამისი საგზაო ნიშნებით.

„ხელოვნური უსწორმასწორობა“ უნდა დამონტაჟდეს გოსტ P-52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები: ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“; ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ); გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქალაქ გორში, ფარნავაზის ქუჩა N24-ის მიმდებარედ განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობა“.
2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობა“ დამონტაჟდეს გოსტ P-52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და მოძრაობის მიმართულებით განთავსდეს გოსტ-ის მიხედვით შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;
ბ) 3.24 „მაქსიმალურისიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);
გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“

3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე